

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შ.პ.ს. კომპანია „კავკასიონი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2011 წლის 24 ივნისი. ს.ნ 400023112

კომპანიის დამფუძნებელი: რევაზ მუმლაძე პ.ნ. 0101003420

კომპანიის დირექტორი: რევაზ მუმლაძე პ.ნ. 0101003420

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: თბილისი, გლდანი, 2-ე მ/რ, კ.40, ბ3

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: გაზასადენების და წყალმომარაგების მშენებლობა

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

2.3 კომპანია წინა საანგარიშო პერიოდში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2017 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

2.7 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.8 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2.9 მიღებული დივიდენდი კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები, როგორც ფინანსური ოპერაციები.

2.10 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ბარტერიტა და უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

2.11 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.12 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.13 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2.15 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

2.16 ბანკის სესხები საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შ.პ.ს. "საქსაქონლო კომპანია "კავკასიონი"-ს

დირექტორი

რ.მუმლაძე



ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ლარი)				
	შენიშვნა	2021	2022	
აქტივები:				
მიმდინარე აქტივები		95916	96678	
ფულადი სახსრები		4903	300880	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1373904	1598390	
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		281800	281800	
სხვა პირზე ავანსად გაცემული (მიწის შეძენა)				
სულ მიმდინარე აქტივები		1756523	2277748	
გრძელვადიანი აქტივები		504724	598371	
ძირითადი საშუალებები		421583	519827	
არამატერიალური აქტივები		59769	81700	
საგადასახადო აქტივი		23372	2838	
სულ გრძელვადიანი აქტივები		504724	604365	
სულ აქტივები		2261247	2882113	
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:				
მოკლევადიანი ვალდებულებები		186982	679604	
ბანკის ოვერდრაფტი				
სავაჭრო ვალდებულებები		184949	673963	
სხვა ვალდებულებები			1523	
გადასახდელი პროცენტები				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		2033	4118	
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის				
დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი				
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		186982	679604	
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი		2390263	2297152	
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		2390263	2297152	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2577245	2976756	
სულ ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გადაფასების რეზერვი		12097	12097	

გაუნაწილებელი მოგება		-328095	-106742	
სულ საკუთარი კაპიტალი		-315998	-94643	
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2261247	2882113	

შ.პ.ს. კომპანია „კავკასიონი“-ის დირექტორი



რ.მუმლაძე

შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ანგარიშგება

(ლარი)

	2021 წელი	საანგარიშო პერიოდ 2022 წელი
ამონაგები	4998345	9267064
რეალურ პროდუქციის/ მომსახურების ფიზიკურება		
საერთომოგება	4998345	9267064
სხვა შემოსავალი		
კომერციული დანახარები	-4061876	-7855750
ადმინისტრაციული ხარჯები	-303944	-584267
სხვა საოპერაციო ხარჯები		
საოპერაციომოგება	632525	827047
არასაოპერაციო შემოსავალი		
არასაოპერაციო ხარჯები	-304696	-439661
ფინანსური შემოსავალი	106526	54774
ფინანსური ხარჯი		
მოგება დებეჯვრამდე	434355	442160
მოგების გადასახადის ხარჯი	-30093	-33121
მიმდინარე წლის წმინდა მოგება	404262	409039
გაუნაწილებელ მოგება წლის დასაწყისში	-549734	-315998
მოგების განაწილება დივიდენდის სახით	-170526	-187684
გაუნაწილებელ მოგება წლის ბოლოს	-315998	-94643

შ.პ.ს. კავკასია კავკასიონი-ის

დირექტორი რ. ბ. მლაძე



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარი)				
	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		12097	-561831	-549734
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			404262	404262
გაცემული დივიდენდი			-170526	-170526
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		12097	-328095	-315998
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			409039	409039
გაცემული დივიდენდი			-187684	-187684
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		12097	-106740	-94643

შ.პ.ს. კომპანია „კავკასიონი“-ის

დირექტორი



რ.მუმლაძე